


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა  
04 „II“ 2013 წელი

2 ეგზ.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2011–2012 წლების  
ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის პროგრამები

აუდიტის ანგარიში N 12/105

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

### აუდიტის ანგარიში

აუდიტის ანგარიში.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა .....	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	6
პირობითი მოსაზრება .....	14
სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.....	14
პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები .....	14
შიდა კონტროლების სისუსტეები: .....	14
ფინანსურ ანგარიშებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები .....	14

3

თვითმმართველი ქალაქის -ბათუმის საკრებულო  
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა  
2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ხელმძღვანელობას:

საკრებულოს თავმჯდომარეს

ირაკლი ჩავლეიშვილს

მერს

ჯემალ ანანიძეს



### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამების მომზადებასა და წარდგენაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შესაბამება თუ არა ქ. ბათუმის მერიის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია

თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი განხორციელებული საქმიანობის კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

### პირობითი მოსაზრების საფუძვლები

#### 1. ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის აქტიური გამოვლენა და მკურნალობა

მომსახურების საფასურის სრულად ანაზღაურების პირობებში ადგილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების არასრულად ჩატარების ფაქტებს.

„ქ. ბათუმის სკოლებში და საბავშვო ბაღებში ავადობის აქტიური გამოვლენისა და მკურნალობის“ მუნიციპალური პროგრამის 2011 წლის საკასო ხარჯი 121.4 ათას ლარს, 2012 წელს - 120.4 ათას ლარს შეადგენდა. პროგრამა 2011 წელს ითვალისწინებდა ქ. ბათუმის სკოლების მე-8 - მე-12 კლასების მოსწავლეთა სამედიცინო გამოკვლევას, რენტგენოგრაფიას, ექოსკოპიას, სამკურნალო მასაჟს და ა. შ., ხოლო 2012 წლის დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად ბენეფიციართა წრე განისაზღვრა ქ. ბათუმის სკოლების მე-9 - მე-11 კლასების მოსწავლეთა და ქ. ბათუმის ბავშვთა ბაღების 4-6 წლის დასაზრდელებით. პროგრამების განსახორციელებლად 2011-2012 წლებში, ოთხჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი<sup>1</sup>. ოთხივე ტენდერში გაიმარჯვა შპს „ქალაქ ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“.

შემსყიდველის მხრიდან სახეზეა ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტები, კერძოდ: ხელშეკრულებების შესაბამისად, მიმწოდებლის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენდა სკრინინგის შედეგად აღმოჩენილი სქოლიოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, რაც გულისხმობდა სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის ოცდღიან კურსს. ხელშეკრულება პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმდა 2011 წლის 4 აპრილს. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმანტაციის შესაბამისად N1 სკოლაში სკრინინგი განხორციელდა 11-15 აპრილს, რომლის შედეგების გათვალისწინებით უნდა ჩატარებულიყო სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის ოცდღიანი კურსები. შესაბამისად, აპრილის 15-19 კალენდარულ დღეში) ვერ

<sup>1</sup> SPA 110006018; 110021158; 120002368; 120021066

განხორციელდებოდა სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის ოცდლიანი კურსი, როგორც ეს დაფიქსირებულია შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში. ასევე გონივრულ საფუძველს მოკლებულია 2012 წლის 5 მარტის ხელშეკრულებით (N75) სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის ოცდლიანი კურსის 18 პირზე მარტის თვეში ჩატარების ფაქტის დაფიქსირება, როდესაც შესაბამის სკოლებში სკრინინგი, მომსახურების მიწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელდა 14-15 და 16 მარტს.

მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2011 წელს მიწოდებული იქნა 407 ერთეული სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის პროცედურა და 400 ერთეული სამკურნალო ცურვის პროცედურა, ხოლო 2012 წელს - 600 ერთეული სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის პროცედურა. პროგრამის შესრულების ანგარიშში ბენეფიციარებად დაფიქსირებული პირების შერჩევითი გამოკითხვით დადგენილია, რომ მომსახურების საფასურის სრულად ანაზღაურების პირობებში ადგილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების არასრულად ჩატარების ფაქტებს, რაც პროგრამის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

## 2. მენჯ-ბარმაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგი და ამბულატორიული მკურნალობა

პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით, ამასთან სახელმწიფო საკუთრების შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება 4,4 ათასი ლარი ჩაერიცხა კერძო საკუთრების შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“.

„მენჯ-ბარმაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგი და ამბულატორიული მკურნალობის“ მუნიციპალური პროგრამის 2011 წლის საკასო ხარჯი შეადგენდა 21,1 ათას ლარს, 2012 წლის - 27,0 ათას ლარს. პროგრამა ითვალისწინებდა ქ. ბათუმში მცხოვრები ერთ წლამდე ბავშვების სკრინინგს მენჯ-ბარმაყის სახსრის პათოლოგიის დროულად აღმოჩენის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, ბავშვების რენტგენოგრაფიას და ამბულატორიულ მკურნალობას. ხელშეკრულების<sup>2</sup> პირობების გაუთვალისწინებლად, რენტგენოგრაფიული მომსახურების გაწევის დროს მიწოდებელი კომპანია იყენებს ქვეკონტრაქტორის მომსახურებას.

<sup>2</sup> ხელშეკრულება N41, 03.02.2010 წ.

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, მერიის მხრიდან სათანადო ნებართვის გაცემის ფაქტი არ დასტურდება<sup>3</sup>.

2012 წლის 10 თვისა და 2013 წლის 2 თვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მერიამ ელექტრონული ტენდერის<sup>4</sup> საშუალებით ხელშეკრულება<sup>5</sup> გააფორმა შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონულ ცენტრთან“. 2012 წლის 12 ნოემბერს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომელიც ხელმოწერილია მერიისა და შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“ შორის. ცვლილებებს, რომლის შესაბამისადაც შეიცვალა მომსახურების მიმწოდებელი, საფუძვლად დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 21 აგვისტოს N226 ბრძანება, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის უძრავ-მოძრავი ნივთები საკუთრებაში გადაეცა შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“, თუმცა მისი, როგორც შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ სამართალმემკვიდრეობის ან უფლებამონაცვლეობის ფაქტი არ დასტურდება. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილება თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა, რაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი მოწეტარული ზღვრების დაუცველად<sup>6</sup>.

ხელშეკრულებაში განხორციელებული ზემოთ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 2012 წლის 31 დეკემბრამდე 6,5 ათასი ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება შესრულებული აქვს შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“. ამასთან, შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ მიერ, 2012 წლის ოქტომბრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება 2226 ლარი და 2012 წლის 12 ნოემბრამდე (შპს „სამედიცინო ცენტრ სალვესთან“ ხელშეკრულების გაფორმების თარიღი) გაწეული მომსახურების ღირებულება 2196 ლარი, სულ 4422 ლარი, ქ. ბათუმის მერიის მიერ ჩაერიცხა შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“, რის შედეგადაც, მიუღებელი დივიდენდის სახით, ზიანი მიადგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ვინაიდან შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ 100 % წილის მფლობელი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო შპს „სამედიცინო ცენტრი სალვეს“ მთლიანად ფიზიკური პირების საკუთრებაა.

### 3. სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად, სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო

<sup>3</sup> შესუსრულებელია 2010 წლის 3 თებერვლის N41 ხელშეკრულების 13.1 პუნქტის მოთხოვნები

<sup>4</sup> SPA120002369

<sup>5</sup> ხელშეკრულება N47, 23.02.2012 წ.

<sup>6</sup> შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტი

კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, რომლის 2011-2012 წლების საკასო ხარჯიც 1797,1 ათას ლარს შეადგენდა, არაეკონომიურად გახარჯულია 9,9 ათასი ლარი. ამასთან, ბენეფიციართა აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების აქტების მონაცემებს შორის შეუსაბამობა, პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკურებულოს მიერ დამტკიცებული<sup>7</sup> პროგრამის ბიუჯეტი 2011 წელს - 728,8 ათასი ლარით, ხოლო 2012 წელს - 1110,3 ათასი ლარით განისაზღვრა. პროგრამა ითვალისწინებდა 0-57000-მდე სარეიტინგო ქულის ქ. ბათუმის მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფას.

სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 2011 წლის 1 მარტს, ელექტრონული ტენდერის<sup>8</sup> შედეგების გათვალისწინებით, შპს „მაჯასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 1400 ბენეფიციარის უფასო კვებით უზრუნველყოფის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 549,5 ათასი ლარით, ხოლო ერთეულის ფასი 1,498 ლარით განისაზღვრა.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით, 2011 წლის 3 აგვისტოს, გამარტივებული შესყიდვის ფორმით შპს „გრინ-ლაიტ +“ -თან გაფორმდა ხელშეკრულება, ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 70 ბენეფიციარის, 2011 წლის 31 დეკემბრამდე, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის შესახებ. გამარტივებული შესყიდვის ფორმით ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი, თუმცა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში შესასყიდი მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს<sup>9</sup>. ამასთან, შპს „გრინ-ლაიტ +“ -თან გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშეკრულებით გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი 2,43 ლარით განისაზღვრა, რაც 0,932 ლარით მეტია შპს „მაჯასთან“ ელექტრონული შესყიდვის ფორმით ანალოგიური მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ერთეულის ფასზე. შესაბამისად ხელშეკრულების ვადის, მოცულობისა და ღირებულების გათვალისწინებით, შპს „გრინ-ლაიტ +“ -თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება 9,9 ათასი ლარით

<sup>7</sup> თვითმმართველი ქალაქის - საკურებულოს განკარგულებები N188. 31.12.20110 და N328. 30.12.2011

<sup>8</sup> SPA 110003187

<sup>9</sup> შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

მეტია, იგივე მომსახურების, შპს „მაჯასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ საფასურზე.

აუდიტით დადგენილია, პროგრამით მოსარგებლე პირთა ყოველდღიური აღრიცხვისა და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული აქტების მონაცემების შეუსაბამობის ფაქტები. კერძოდ: პროგრამით მოსარგებლე პირთა აღრიცხვის ყოველდღიური ჟურნალის მონაცემთა შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში პროგრამით ნასარგებლევი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობის ბენეფიციარებს, მაშინ როდესაც მიღება-ჩაბარების აქტებში სისტემატურად ფიქსირდება მოსარგებლე ბენეფიციართა ხელშეკრულებებით განსაზღვრული სრული რაოდენობა. აღნიშნული გარემოება, პროგრამის ფარგლებში 2011 და 2012 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>10</sup> სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით (რომელიც მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების შესაბამისად ითვალისწინებდა), საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

#### 4. სოციალური სახლის მშენებლობა

სოციალური სახლის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე, ქ.ბათუმის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყეტილებების შედეგად, ზიანი მიადგა სახელმწიფო ინტერესებს და ბიუჯეტში არ იქნა ჩარიცხული 7650,0 ათასი ლარი.

ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებით საცხოვრებელ კომპლექს „ბათუსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 15,0 ათასი კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განვარგვაზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფმა“. კონკურსის შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად<sup>11</sup> გამარჯვებულმა აიღო ვალდებულება ქ. ბათუმის მერიისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა შესყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართის 20 %, მშენებლობა დაესრულებინა კონკურსის ჩატარებიდან და გამარჯვებულის გამოვლენიდან 36 თვეში და ამასთან მერიაზე უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადასაცემი საცხოვრებელი ბინები უნდა ყოფილიყო ე.წ. „გასაღების ქვეშ“.

შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ თხოვნის<sup>12</sup> გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 11 სექტემბრის N272 დადგენილებით, ქ. ბათუმის მერიის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შპს „ცენტრ-პოინტ ჯგუფს“ მიეცა თანხმობა,

<sup>10</sup> N39. 1.03.2011, N333. 23.11.2011, N55. 28.02.2012

<sup>11</sup> ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის N53 დადგენილება

<sup>12</sup> შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ 2006 წლის 22 აგვისტოს N112-08-06 წერილი

საცხოვრებელი სახლი აეშენებინა და ქ. ბათუმის მერიისათვის გადაეცა არა ზღვისპირა ზოლში, როგორც ეს კონკურსის შედეგებით იქნა განსაზღვრული, არამედ ქ. ბათუმის გარეუბანში სელიმ ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში.

შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად, ქ. ბათუმის მერიამ სარჩელით<sup>13</sup> მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

- ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე 3700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფი“ - საგან საკუთრების სახლში ქ. ბათუმის მერიის მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ქ. ბათუმის მერიის მისაღები 12678 კვ.მ. ინდივიდუალური საკუთრების ფართის საბაზრო ღირებულების 8240,7 აშშ დოლარის ექვივალენტის 13679,6 ათასი ლარის ანაზღაურება.

- ზიანის ანაზღაურების სახით 201,0 ათასი ლარის გადახდა, რომელიც წარმოადგენს ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩა N107-ში მცხოვრები პირებისთვის უკვე გადახდილი საცხოვრებელი ბინის ქირას.

ქ. ბათუმის მერიის წერილის<sup>14</sup> საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე 3700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე 3700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო ბანიშნულების მიწის ნაკვეთს.

საქმის სასამართლოში განხილვამდე, 2012 წლის 19 მარტს მხარეებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, ხოლო 2012 წლის 25 ივნისს გაფორმდა მორიგების აქტი, რომლებითაც სასარჩელო განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნების სანაცვლოდ, ქ. ბათუმის მერია დათანხმდა:

- ქ. ბათუმში, ბაგრატიონისა და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 3700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განლაგებული მშენებარე შენობა-ნაგებობების საკუთრებაში მიღებას.

- შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიერ მშენებარე სახლის დასრულებისათვის საჭირო ხარჯებისა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე საკუთრების უფლებით გადასაცემი ხარჯებისა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე საკუთრების მდგომარეობამდე მიყვანისათვის საჭირო ფართების შეთანხმებული პირობების შესაბამის მდგომარეობამდე მიყვანისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს 7650,0 ათასი ლარისა. თუმცა მორიგების აქტში არაფერია ნათქვამი ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩა N107-ში მცხოვრები პირებისთვის მერიის მიერ ბინის ქირის 201,0 ათასი ლარის გადახდით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე.

<sup>13</sup> სასარჩელო განცხადება N25-01/197. 23.01.2012წ.

<sup>14</sup> ქ. ბათუმის მერიის 2012 წლის 17 თებერვლის N25-01/634 წერილი

ამავე მორიგების შესაბამისად, შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფი“ კისრულობს ვალდებულობას ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, შესთავაზოს ისეთი ქონება, რომლებიც არ იქნება გამოყენებული მესამე პირთა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მათზე არ იქნება გავრცელებული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და იქნება უფლებრივად უნაკლო.

შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიერ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებაც არ იქნა შესრულებული. 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, არ არის გადახდილი შეთანხმების აქტით ხარჯების ანაზღაურებისათვის განსაზღვრული 7650,0 ათასი ლარი და არც შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ კუთვნილი ქონების, ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვას ჰქონდა ადგილი.

მშენებარე სახლის დასრულებისათვის თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 6346,0 ათასი ლარიდან, 2012 წელს გახარჯულია 4143,2 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 1126,5 ათასი ლარი. გახარჯული თანხიდან 5114,3 ათასი გადაერიცხა შპს „ანაგს“ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების სახით, 105,4 ათასი ლარი მოხმარდა ელ. ენერგიისა და წყალის ქსელში ჩართვას, ხოლო 50,0 ათასი ლარი გადაერიცხა შპს „დექსუს ქოსტრაქშენ მენეჯმენტს“, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის.

აღსანიშნავია, რომ სოციალური სახლის მშენებლობის დასრულების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქ. ბათუმის მერიასა და შპს „ანაგს“ შორის, 2012 წლის 14 მაისს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტისა და „ქ. ბათუმის მერიისათვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 18 აპრილის N59 განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის ფორმით. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიერ, შპს „ანაგის მეშვეობით, რომლის დასამტკიცებლად რეკომენდაცია მიეცა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 აპრილის N013207 2012/03/01 დასკვნით. ამასთან, შპს „დექსუს ქოსტრაქშენ მენეჯმენტთან“, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 18 აპრილის N59 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულია 2012 წლის 21 მაისს, სახელშეკრულებო ღირებულება 50,0 ათასი ლარით განისაზღვრა. შპს „დექსუს ქოსტრაქშენ მენეჯმენტი“ ეკუთვნის შპს „დექსუსის“ დამტუმნებლებს, რომელსაც 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული გენერალური მინდობილობის შესაბამისად, მართვისა და განკარგვის უფლებით გადაეცა შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ 100 პროცენტიანი წილი. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით,

სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შედგენისას შპს „ანაგის“ მონაწილეობა და შპს „დექსუს ქოსტრაქშენ მენეჯმენტის“ მიერ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება, ინტერესთა კონფლიქტია, რაც შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებთან მიმართებით დამატებით რისკ-ფაქტორად უნდა იქნეს განხილული.

## 5. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერა

პროგრამის ფარგლებში გაწეულია 58,2 ათასი ლარის არამიზნობრივი ხარჯი თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს, მიერ დამტკიცებული<sup>15</sup> 2012 წლის პროგრამის ბიუჯეტი 352,0 ათასი ლარით განისაზღვრა. პროგრამის საკასო ხარჯმა 343,5 ათასი ლარი შეადგინა და ის ქ. ბათუმში მცხოვრები 0-100000 ქულის მქონე 8500 ბენეფიციარის სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

პროგრამის შესრულების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში<sup>16</sup> გამარჯვებულად დასახელდა შპს „მაჯა“, რომელთანაც 2012 წლის 24 აგვისტოს და 19 დეკემბერს გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები პროგრამით განსაზღვრული სასურსათო პაკეტების შეძენა-მოწოდების შესახებ. ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 352,0 ათასი ლარით, ხოლო ერთეული მომსახურების ღირებულება კი 40 ლარით განისაზღვრა.

პროგრამის შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2012 წელს 8587 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო პაკეტი. ბენეფიციართა სიის გადამოწებით დადგენილია, რომ 1456 ბენეფიციარის სოციალური სტატუსი არ შეესაბამებოდა პროგრამის მიზანს და შესაბამისად მათზე გადაცემული სასურსათო პაკეტის ღირებულება 58,2 ათასი ლარი, წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს.

შემდგომში, მერიის მიერ უკვე გაწეული არამიზნობრივი ხარჯის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით<sup>17</sup>, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით, გაიზარდა ბენეფიციართა წრე და მან მოიცვა ასევე შშმ პირები, პენსიონერები, მარტოხელა ადამიანები და შეჭირვებული ადამიანები რომელთაც არ ჰქონდათ სარეიტინგო ქულა.

<sup>15</sup> თვითმმართველი ქალაქის - საკრებულოს განკარგულება N188, 27.07.2012

<sup>16</sup> SPA 120021070 და SPA 120026700

<sup>17</sup> თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს განკარგულება N249, 26.10.2012 წ.

## პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების ნაწილში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

### სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები

პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები

შიდა კონტროლების სისუსტეები:

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიაში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების წესები, რომლის სამოქმედოდ შემოღებაც მნიშვნელოვანია პროგრამების ეფექტურად განხორციელებისათვის.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არ არის შემუშავებული მონაცემთა ელექტრონული ბაზები, რომელიც ცალკეული პროგრამების ბენეფიციართა იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა.

### ფინანსურ ანგარიშებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

#### 1. პროგრამების შესრულება

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტით, 2011–2012 წლებში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების საერთო ასიგნებამ 13827,6 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში პროგრამების შესრულებისათვის გაწეული საკასო ხარჯი 11565,9 ათას ლარს შეადგენს, ანუ გეგმა შესრულებულია 83,6 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 2261,7 ათასი ლარი. საბიუჯეტო გეგმის შესრულება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება.

N	პროგრამის დასახელება	პერიოდი	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
1	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	2011	626.7	504.3	122.4	80.5
		2012	767.4	692.0	75.4	90.2
		ჯამი	1394.1	1196.3	197.8	85.8
2	სოციალური დაცვის პროგრამები	2011	3111.8	2460.2	651.6	79.1
		2012	9321.7	7909.3	1412.4	84.8
		ჯამი	12433.5	10369.5	2064.0	83.4
	ჯამი	2011	3738.5	2964.5	3476.4	79.3
		2012	10089.1	8601.3	5540.4	85.3
		ჯამი	13827.6	11565.8	9016.8	83.6

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების დაბალი მაჩვენებელი, პროგრამების შესრულებაზე პასუხიმგებელი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ნაკლებ ეფექტურობაზე მიუთითებს.

## 2. სახელმწიფო შესყიდვები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ აუდიტის პერიოდში, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესრულების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებები 6 შემთხვევაში დაგვიანებითაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში<sup>18</sup>. კერძოდ:

შესყიდვის დანაყოფის დასახელება	სატენდერო განცხადების ნომერი	შეთანხმების გაფორმების თარიღი	სისტემაში ატვირთვის თარიღი	მიმწოდებლის დასახელება
1	2	3	4	5
სოციალურად დაუცველი უწის უფასო კვებით უზრუნველყოფა	SPA110003187	18.04.2011	20.04.2011	შპს „მაჯა“
ქ. ბათუმის სკოლებში ავადიბის აქტიური გამოყენებისა და მკურნალობის მომსახურება	SPA110021158	1.12.2011	8.12.2011	შპს „ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“
ფსიქიატრი პრობლემების ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურება	SPA110006017	15.08.2011	23.08.2011	აიპ „სამედიცინო ასოციაცია „თანა“
ეპილექსიით დაავადებულ პაციენტთა სპეციალური მედიცინურებით უზრუნველყოფა	SPA120002393	25.09.2012	15.11.2012	შპს „ავერსი-გეოფარმა“
პარკინსონით დავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	SPA120002396	22.11.2012	20.12.2012	შპს „ეი-ბი-სი ფარმაცე“
მუნჯ-ბარძის სახსრის დისპლაზიის სქრინინგისა და ამზღვურატორის მკურნალობის მომსახურება	SPA120002369	12.11.2012	17.11.2012	შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი“

„მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგისა და ამზღვურატორიული მკურნალობის“ სამედიცინო მომსახურებაზე

<sup>18</sup> შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის #98 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები

26

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
აუდიტის ანგარიში

გაფორმებული ხელშეკრულება<sup>19</sup> 2012 წლის განმავლობაში ითვალისწინებდა 120 ერთეული რენტგენოგრაფიის მომსახურების მიწოდებას. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში, სხვა მომსახურების შემცირებული რაოდენობით მიწოდების ხარჯზე, გაწეული იქნა აღნიშნული მომსახურების 177 ერთეული, რაზედაც სათანადო წესით შეთანხმება<sup>20</sup> გაფორმებულ არ არის.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

28. 10. 2013

ჰენრი სანიკიძე /აუდიტორი/

28. 10. 2013

გურანდა გვაზავა /აუდიტორ-ასისტენტი/

3-373-71

28. 10. 2013

<sup>19</sup> ხელშეკრულება N47. 23.02.2012

<sup>20</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

# სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის  
საკრებულო

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი: ირაკლი ჩავლეიშვილი

## 1. გამოვლენილი გარემოება:

ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის აქტიური გამოვლენა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, მომსახურების საფასურის სრულად ანაზღაურების პირობებში ადგილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების არასრულად ჩატარების ფაქტებს.

## რეკომენდაცია

პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე სისტემატური კონტროლის დაწესების გზით უზრუნველყოფილ იქნეს, პროგრამის ფარგლებში გასაწევი მომსახურების სრულად შესრულება და შესაბამისი წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე განხორციელდეს ანგარიშწორება.

## აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

## 2. გამოვლენილი გარემოება.

მენჯ-ბარმაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგისა და ამბულატორიული მკურნალობის პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით, ამასთან სახელმწიფო საკუთრების შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება 4,4 ათასი ლარი ჩაერიცხა კერძო საკუთრების შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“.

## რეკომენდაცია

დამტკიცებული პროგრამის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება. ამასთან, თქვენი შუამდგომლობით უნდა განხორციელდეს შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“-

თვის, არასწორად ჩარიცხული 4,4 ათასი ლარის, შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ ანგარიშზე ჩარიცხვა.

#### **აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი**

##### **3. გამოვლენილი გარემოება**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად, სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, რომლის 2011-2012 წლების საკასო ხარჯიც 1797,1 ათას ლარს შეადგენდა, არაეკონომიურად გახარჯულია 9,9 ათასი ლარი. ამასთან, ბენეფიციართა აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების აქტების მონაცემებს შორის შეუსაბამობა, პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

#### **რეკომენდაცია**

სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და პრეტიკაში დაინერგოს პროგრამით მოსარგებლების ბენეფიციართა იდენტიფიცირებისა და მათი სასადილოში გამოცხადების აღრიცხვის დამატებითი მექანიზმები.

#### **აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი**

##### **4. გამოვლენილი გარემოება**

სოციალური სახლის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე, ქ. ბათუმის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, ზიანი მიადგა სახელმწიფო ინტერესებს და ბიუჯეტში არ იქნა ჩარიცხული 7650,0 ათასი ლარი. ასევე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაწეულია 58,2 ათასი ლარის არამიზნობრივი ხარჯი.

#### **რეკომენდაცია**

27

საჯარო სექტორში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა უზრუნველყოფდეს  
საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას.

### აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

#### 5. გამოვლენილი გარემოება

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტით, 2011-2012 წლებში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების საერთო ასიგნებამ 13827,6 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში პროგრამების შესრულებისათვის გაწეული საკასო ხარჯი 11565,9 ათას ლარს შეადგენს, ანუ გეგმა შესრულებულია 83,6 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 2261,7 ათასი ლარი. ამასთან, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიაში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების წესები. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არ არის შემუშავებული მონაცემთა ელექტრონული ბაზები, რომელიც ცალკეული პროგრამების ბენეფიციართა იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა.

#### რეკომენდაცია

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების აქტუალობიდან გამომდინარე, გაძლიერდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ პროგრამიების შესრულებისათვის გაწეული საქმიანობა. პროგრამების ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავდეს და სამოქმედოდ დამტკიცდეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების წესები და ყოველი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში შეიქმნას მონაცემთა ელექტრონული ბაზები.

უფროსი აუდიტორი

გ. შარაბიძე

აუდიტორი

ვ. სანიკიძე

აუდიტორ-ასისტენტი

გ. გვაზავა

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2011 წლის ბიუჯეტის ანგარიში (გადასახდელები)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საქასო ხარჯი	გადახრა
02 02 07	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	626,700	626,700	504,345	122,355
	ხარჯები	626,700	626,700	504,345	122,355
	სოციალური უზრუნველყოფა	626,700	626,700	504,345	122,355
02 02 07 01	ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის ძეგლიური გამოვლენა და მკურნალობა	121,900	121,900	121,358	542
	ხარჯები	121,900	121,900	121,358	542
	სოციალური უზრუნველყოფა	121,900	121,900	121,358	542
02 02 07 02	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	137,000	137,000	101,931	35,069
	ხარჯები	137,000	137,000	101,931	35,069
	სოციალური უზრუნველყოფა	137,000	137,000	101,931	35,069
02 02 07 03	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	39,600	39,600	38,681	920
	ხარჯები	39,600	39,600	38,681	920
	სოციალური უზრუნველყოფა	39,600	39,600	38,681	920
02 02 07 04	მენჯერარძეების სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოგარდნილობის სკრინინგი და ამბულატორიული მკურნალობა	21,200	21,200	21,115	85
	ხარჯები	21,200	21,200	21,115	85
	სოციალური უზრუნველყოფა	21,200	21,200	21,115	85
02 02 07 05	ფსიქიატრი პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	59,100	59,100	45,029	14,071
	ხარჯები	59,100	59,100	45,029	14,071
	სოციალური უზრუნველყოფა	59,100	59,100	45,029	14,071
02 02 07 06	ქ. ბათუმში მოხუცებულთა კატარაქტისა და გლაუკომის ოპერაციული მკურნალობით უზრუნველყოფა	98,800	98,800	87,645	11,155
	ხარჯები	98,800	98,800	87,645	11,155

28

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
ანგარიშების ფორმები**

	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	98,800	98,800	87,645	11,155
02 02 07 07	<b>ბავშვთა ტონზილების ოპერაციული მქურნალობა</b>	<b>5,000</b>	<b>5,000</b>	<b>4,934</b>	<b>66</b>
	<b>ხარჯები</b>	5,000	5,000	4,934	66
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	5,000	5,000	4,934	66
02 02 07 08	<b>კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა</b>	<b>144,100</b>	<b>144,100</b>	<b>83,652</b>	<b>60,448</b>
	<b>ხარჯები</b>	144,100	144,100	83,652	60,448
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	144,100	144,100	83,652	60,448
02 02 08	<b>სოციალური დაცვის პროგრამები</b>	<b>3,098,600</b>	<b>3,111,800</b>	<b>2,460,217</b>	<b>651,583</b>
	<b>ხარჯები</b>	3,098,600	3,111,800	2,460,217	651,583
	<b>საქონელი და მომსახურება</b>	9,000	9,000	6,600	2,400
	<b>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება</b>	9,000	9,000	6,600	2,400
	<b>სუბსიდიები</b>	5,000	5,000	3,838	1,162
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	3,084,600	3,097,800	2,449,779	648,021
02 02 08 01	<b>სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კერძით უზრუნველყოფა</b>	<b>728,800</b>	<b>728,800</b>	<b>727,171</b>	<b>1,629</b>
	<b>ხარჯები</b>	728,800	728,800	727,171	1,629
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	728,800	728,800	727,171	1,629
02 02 08 02	I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა	<b>51,000</b>	<b>51,000</b>	<b>27,456</b>	<b>23,545</b>
	<b>ხარჯები</b>	51,000	51,000	27,456	23,545
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	51,000	51,000	27,456	23,545
02 02 08 03	<b>უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა</b>	<b>9,000</b>	<b>9,000</b>	<b>6,600</b>	<b>2,400</b>
	<b>ხარჯები</b>	9,000	9,000	6,600	2,400
	<b>საქონელი და მომსახურება</b>	9,000	9,000	6,600	2,400
	<b>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება</b>	9,000	9,000	6,600	2,400
02 02 08 04	<b>კეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუ-პულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა</b>	<b>252,600</b>	<b>252,600</b>	<b>199,530</b>	<b>53,071</b>
	<b>ხარჯები</b>	252,600	252,600	199,530	53,071
	<b>სუბსიდიები</b>	5,000	5,000	3,838	1,162

25

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
ანგარიშგების ფორმები**

	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	247,600	247,600	195,692	51,908
02 02 08 05	უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა	<b>503,100</b>	<b>503,100</b>	<b>503,080</b>	<b>21</b>
	ხარჯები	503,100	503,100	503,080	21
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	503,100	503,100	503,080	21
02 02 08 06	სოციალურად დაუცველი და მრავალ შვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება	<b>694,100</b>	<b>694,100</b>	<b>562,377</b>	<b>131,723</b>
	ხარჯები	694,100	694,100	562,377	131,723
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	694,100	694,100	562,377	131,723
02 02 08 07	ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალ შობილზე	<b>148,500</b>	<b>148,500</b>	<b>121,100</b>	<b>27,400</b>
	ხარჯები	148,500	148,500	121,100	27,400
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	148,500	148,500	121,100	27,400
02 02 08 08	მრავალ შვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	<b>166,500</b>	<b>166,500</b>	<b>142,500</b>	<b>24,000</b>
	ხარჯები	166,500	166,500	142,500	24,000
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	166,500	166,500	142,500	24,000
02 02 08 09	პროფესიული სწავლება	<b>45,000</b>	<b>45,000</b>	<b>26,254</b>	<b>18,746</b>
	ხარჯები	45,000	45,000	26,254	18,746
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	45,000	45,000	26,254	18,746
02 02 08 10	საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა	<b>500,000</b>	<b>500,000</b>	<b>130,950</b>	<b>369,050</b>
	ხარჯები	500,000	500,000	130,950	369,050
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	500,000	500,000	130,950	369,050
02 02 08 12	ერთჯერადი მატერიალური დახმარება		<b>13,200</b>	<b>13,200</b>	
	ხარჯები		13,200	13,200	
	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>		13,200	13,200	

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა (4-5)
1	2	3	4	5	6
02 07	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	767,400	767,400	692,023	75,377
	ხარჯები	767,400	767,400	692,023	75,377
	სოციალური უზრუნველყოფა	767,400	767,400	692,023	75,377
02 07 01	ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის აქტიური გამოვლენა და მკურნალობა	121,200	121,200	120,346	854
	ხარჯები	121,200	121,200	120,346	854
	სოციალური უზრუნველყოფა	121,200	121,200	120,346	854
02 07 02	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	146,100	146,100	129,018	17,082
	ხარჯები	146,100	146,100	129,018	17,082
	სოციალური უზრუნველყოფა	146,100	146,100	129,018	17,082
02 07 03	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	68,700	68,700	67,325	1,375
	ხარჯები	68,700	68,700	67,325	1,375
	სოციალური უზრუნველყოფა	68,700	68,700	67,325	1,375
02 07 04	მენჯ-ბარმაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგი და ამბულატორიული მკურნალობა	27,300	27,300	26,979	321
	ხარჯები	27,300	27,300	26,979	321
	სოციალური უზრუნველყოფა	27,300	27,300	26,979	321
02 07 05	ფსიქიური პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	77,000	77,000	59,143	17,857
	ხარჯები	77,000	77,000	59,143	17,857
	სოციალური უზრუნველყოფა	77,000	77,000	59,143	17,857
02 07 06	კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა	150,000	150,000	144,386	5,614
	ხარჯები	150,000	150,000	144,386	5,614
	სოციალური უზრუნველყოფა	150,000	150,000	144,386	5,614
02 07 07	ქ. ბათუმში მოხუცებულთა კატარაქტისა და გლაუკომის ოპერაციული	14,200	14,200	14,185	15

	მკურნალობით უზრუნველყოფა				
	ხარჯები	14,200	14,200	14,185	15
	სოციალური უზრუნველყოფა	14,200	14,200	14,185	15
02 07 08	სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	<b>127,600</b>	<b>127,600</b>	<b>103,941</b>	<b>23,659</b>
	ხარჯები	127,600	127,600	103,941	23,659
	სოციალური უზრუნველყოფა	127,600	127,600	103,941	23,659
02 07 10	ქ. ბათუმში მცხოვრები ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფა	<b>22,800</b>	<b>22,800</b>	<b>21,700</b>	<b>1,100</b>
	ხარჯები	22,800	22,800	21,700	1,100
	სოციალური უზრუნველყოფა	22,800	22,800	21,700	1,100
02 07 11	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო სამუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა	<b>12,500</b>	<b>12,500</b>	<b>5,000</b>	<b>7,500</b>
	ხარჯები	12,500	12,500	5,000	7,500
	სოციალური უზრუნველყოფა	12,500	12,500	5,000	7,500
02 08	სოციალური დაცვის პროგრამები	<b>9,273,800</b>	<b>9,321,700</b>	<b>7,909,296</b>	<b>1,412,404</b>
	ხარჯები	3,972,200	4,020,100	3,766,096	254,004
	საქონელი და მომსახურება	22,200	22,200	6,750	15,450
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	22,200	22,200	6,750	15,450
	სუბსიდიები	5,000	5,000	4,774	226
	სოციალური უზრუნველყოფა	3,945,000	3,992,900	3,754,572	238,328
	არაფინანსური აქტივები	5,301,600	5,301,600	4,143,200	1,158,400
02 08 01	სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით უზრუნველყოფა	<b>1,110,300</b>	<b>1,110,300</b>	<b>1,069,952</b>	<b>40,348</b>
	ხარჯები	1,097,200	1,097,200	1,069,952	27,248
	საქონელი და მომსახურება	13,200	13,200		13,200
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	13,200	13,200		13,200
	სოციალური უზრუნველყოფა	1,084,000	1,084,000	1,069,952	14,048
	არაფინანსური აქტივები	13,100	13,100		13,100
02 08 02	I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა	<b>27,800</b>	<b>27,800</b>	<b>22,728</b>	<b>5,072</b>
	ხარჯები	27,800	27,800	22,728	5,072
	სოციალური უზრუნველყოფა	27,800	27,800	22,728	5,072
02 08 03	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა	<b>9,000</b>	<b>9,000</b>	<b>6,750</b>	<b>2,250</b>

82

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
ანგარიშგების ფორმები

	ხარჯები	9,000	9,000	6,750	2,250
	საქონელი და მომსახურება	9,000	9,000	6,750	2,250
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9,000	9,000	6,750	2,250
02 08 04	ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუ-პულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა	179,500	179,500	146,761	32,739
	ხარჯები	179,500	179,500	146,761	32,739
	სუბსიდიები	5,000	5,000	4,774	226
	სოციალური უზრუნველყოფა	174,500	174,500	141,987	32,513
02 08 05	უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა	504,500	504,500	504,458	42
	ხარჯები	504,500	504,500	504,458	42
	სოციალური უზრუნველყოფა	504,500	504,500	504,458	42
02 08 06	სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება	779,800	779,800	760,130	19,670
	ხარჯები	779,800	779,800	760,130	19,670
	სოციალური უზრუნველყოფა	779,800	779,800	760,130	19,670
02 08 07	ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე	169,500	169,500	152,800	16,700
	ხარჯები	169,500	169,500	152,800	16,700
	სოციალური უზრუნველყოფა	169,500	169,500	152,800	16,700
02 08 08	მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება	197,000	197,000	184,500	12,500
	ხარჯები	197,000	197,000	184,500	12,500
	სოციალური უზრუნველყოფა	197,000	197,000	184,500	12,500
02 08 09	პროფესიული სწავლება	45,000	45,000	38,100	6,900
	ხარჯები	45,000	45,000	38,100	6,900
	სოციალური უზრუნველყოფა	45,000	45,000	38,100	6,900
02 08 10	საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა	436,000	436,000	332,459	103,542
	ხარჯები	436,000	436,000	332,459	103,542
	სოციალური უზრუნველყოფა	436,000	436,000	332,459	103,542
02 08 11	გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა	174,900	174,900	156,077	18,823
	ხარჯები	174,900	174,900	156,077	18,823
	სოციალური უზრუნველყოფა	174,900	174,900	156,077	18,823

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 33  
ანგარიშების ფორმები

02 08 12	სოციალური სახლის მშენებლობა	<b>5,288,500</b>	<b>5,288,500</b>	<b>4,143,200</b>	<b>1,145,300</b>
	არაფინანსური აქტივები	5,288,500	5,288,500	4,143,200	1,145,300
02 08 14	ერთჯერადი მატერიალური დახმარება		<b>47,900</b>	<b>47,900</b>	
	ხარჯები		47,900	47,900	
	სოციალური უზრუნველყოფა		47,900	47,900	
02 08 15	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერა	<b>352,000</b>	<b>352,000</b>	<b>343,480</b>	<b>8,520</b>
	ხარჯები	352,000	352,000	343,480	8,520
	სოციალური უზრუნველყოფა	352,000	352,000	343,480	8,520